

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2013 წლის 17 ივლისის
N17/07/01 განკარგულებით

**ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის
მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა
2013 - 2015 წლების სამოქმედო გეგმა**

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	შემსრულებელი	ვადა	ინდიკატორი
1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თაობაზე არსებული	1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვისა და რეაბილიტაციის სამოქმედო ინსტრუქციის (შემდეგში - ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	1.1.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ურთიერთანამშრომლობის ვალდებულების შესრულება.	ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო (შემდეგში – საუწყებათაშორისო საბჭო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (საჯარო სამართლის იურიდიული პირი	2013-2015 წწ.	ეროვნული რეფერალური მექანიზმის ბენეფიციართა რაოდენობა.

<p>მექანიზმებისა და სამართლებრივი ბაზის სრულყოფა.</p>			<p>- სოციალური მომსახურების სააგენტო), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში – სახელმწიფო ფონდი)</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		
	<p>1.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში</p>	<p>1.2.1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს</p>	<p>2013-2015 წწ.</p>	<p>კანონმდებლობის შეფასების დოკუმენტი; მომზადებული</p>

	<p>სამართლებრივი ბაზის დახვეწა/სრულყოფა; კანონმდებლობის ჰარმონიზება ოჯახში ძალადობის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან, მათთან მიერთების მიზნით.</p>	<p>კანონმდებლობის შეფასების შედეგების საფუძველზე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის მომზადება.</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, სახელმწიფო ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		<p>საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი.</p>
	<p>1.3. ოჯახში ძალადობის სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებთან მიერთება.</p>	<p>1.3.1. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის ხელმოწერა</p> <p>1.3.2. „ქალთა მიმართ</p>	<p>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო,</p>	<p>2013 წ.</p> <p>2014-2015</p>	<p>კონვენციის ხელმოწერა;</p> <p>კონვენციის</p>

		ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია.	სახელმწიფო ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	წწ.	რატიფიკაცია.
	1.4 ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მუშაკების ჩაბმის უზრუნველყოფა.	<p>1.4.1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში სოციალური მუშაკის როლის კონცეფციის ჩამოყალიბება</p> <p>1.4.2. ოჯახში ძალადობის საკითხებზე სოციალური მუშაკების მომზადება.</p>	<p>საუწყებო-სამართლის საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი</p> <p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	2014-2015 წწ.	<p>სოციალური მუშაკის როლის განმსაღვრელი კონცეფცია;</p> <p>სოციალური მუშაკებისათვის ოჯახში ძალადობის თემაზე ჩატარებული ტრენინგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობა.</p>

	<p>1.5. ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ერთიანი სტატისტიკის წარმოების მდგრადობის უზრუნველყოფა.</p>	<p>1.5.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება ერთიანი სტანდარტის მიხედვით.</p> <p>1.5.2. თავშესაფრებში</p>	<p>საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, სახელმწიფო ფონდი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სასამართლო ორგანოები, საქართველოს სახალხო დამცველი</p> <p>(დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები)</p> <p>სახელმწიფო ფონდი,</p>	<p>2013 - 2015 წწ.</p>	<p>ოჯახში ძალადობის შემთხვევების ერთიანი სტანდარტით წარმოებული სტატისტიკის დამტკიცებული დოკუმენტი;</p> <p>პროგრამის</p>
--	---	---	--	------------------------	---

		განთავსებულ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის პროგრამის უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები).		უწყვეტი ფუნქციონირება.
	1.6. ოჯახში ძალადობის შესახებ კვლევის ჩატარება	1.6.1. ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების დონის შესახებ კვლევის ჩატარება.	საუწყებათაშორისო საბჭო (დაინტერესებული არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები).	2014-2015 წწ.	ჩატარებული კვლევა.
2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა, დახმარება და რეაბილიტაცია.	2.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის მექანიზმების გაუმჯობესება.	2.1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციის სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება და დანერგვა.	საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი (დაინტერესებულ	2013 - 2015 წწ.	რეაბილიტაციის სტრატეგიის დოკუმენტი რეაბილიტაციის პროგრამაში ჩაბმული პირების

			არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).		რაოდენობა.
	2.2. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების განვითარება.	2.2.1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების მდგრადობის უზრუნველყოფა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი.	2013-2015 წწ.	სახელმწიფო ფონდისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში თავშესაფრების გათვალისწინება.
	2.3. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის შექმნა და განვითარება.	2.3.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრის გახსნა და მისი მდგრადობის უზრუნველყოფა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (დაინტერესებულ	2013-2015 წწ.	კრიზისული ცენტრის გახსნა 2015 წლის ბოლოდან ცენტრის ფუნქციონირების ხარჯის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინება.

			არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).		
	2.4. ეროვნული ცხელი ხაზის განვითარება.	2.4.1. ეროვნული ცხელი ხაზის მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასო და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი.	2013 – 2015 წწ.	სახელმწიფო ფონდისათვის გათვალისწინებულ ასიგნებებში ცხელი ხაზის გათვალისწინება.
	2.5. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის საშუალებების გაძლიერება.	2.5. დამცავი და შემაკავებელი ორდერებით გათვალისწინებული საკითხების აღსრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს სახალხო დამცველი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2013-2015 წწ.	მონიტორინგის ქმედითი, ეფექტიანი სისტემა
	2.6. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში	2.6.1. ეროვნული რეფერირების მექანიზმის	საუწყებათაშორისო საბჭო, შესაბამისი კომპეტენციის	2013 – 2015 წწ.	ჩატარებული ტრენინგების

	<p>ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული რეფერალური მექანიზმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად პროფესიული საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება.</p>	<p>დანერგვისა და ოჯახში ძალადობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით პროფესიული ტრენინგების ჩატარება შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისათვის:</p> <p>ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის (საუბნო და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები);</p> <p>ბ) საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის (პროკურორები);</p> <p>გ) სოციალური მუშაკებისათვის;</p> <p>დ) მოსამართლეებისათვის;</p> <p>ე) ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებების</p>	<p>ფარგლებში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები</p>		<p>რაოდენობა, მსმენელთა რაოდენობა.</p>
--	--	---	--	--	--

		<p>თანამშრომლებისათვის; ვ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების თანამშრომლებისათვის; ზ) ბავშვთა მომსახურების დაწესებულებების პერსონალისათვის; თ) ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მუშაკებისთვის; ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სფეროში სერვისის მიმწოდებლებისათვის; კ) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული</p>	<p>(დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>		
--	--	--	--	--	--

		დახმარების სამსახურის ადვოკატებისთვის; ლ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებისათვის.			
3. ოჯახში ძალადობის პრევენცია და ოჯახში ძალადობის საკითხების მიმართ ცნობიერების დონის ამაღლება.	3.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის მეთოდების გაუმჯობესება.	3.1.1. მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო სტრატეგიისა და რეკომენდაციების შემუშავება.	საუწყებათაშორისო საბჭო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და	2014 - 2015 წწ.	რეკომენდაციების პაკეტი. სტრატეგიის დოკუმენტი.

			საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).		
	3.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში მოქმედი კანონმდებლობისა და ეროვნული რეფერალური მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ლონისპიებების უზრუნველყოფა.	3.2.1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავება 3.2.2. ოჯახში ძალადობის შესახებ სწავლების დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში	საუწყებათაშორისო საბჭო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით)	2013-2015 წწ. 2013-2014 წწ.	საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავებული დოკუმენტი; სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოე- ბში შეტანილი თემების რაოდენობა;

		<p>3.2.3. სამედიცინო განათლების სისტემაში, როგორც დიპლომამდელი, ისე დიპლომის შემდეგ, კურიკულუმში ცალკე მოდულის შემუშავება ოჯახში ძალადობის საკითხებზე</p>	<p>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2013-2015 წწ.</p>	<p>შემუშავებული მოდული;</p>
		<p>3.2.4. საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებით:</p> <p>ა) თემატური ვიდეორგოლების, რადიო და სატელევიზიო გადაცემების მომზადება და განთავსება საზოგადოებრივი</p>	<p>სახელმწიფო ფონდი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი მაუწყებელი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).</p>	<p>2013-2015 წწ.</p>	<p>ვიდეორგოლების, რადიო-ტელეგადაცემების რაოდენობა, შემდეგი წლის შედეგების მაჩვენებლები: შემდეგი წლის შედარება წინა წლის შედეგებთან, პროგრესის</p>

		<p>მაუწყებლის ეთერში;</p> <p>ბ) საინფორმაციო-საცნობარო მასალის მომზადება და გავრცელება;</p> <p>გ) ოჯახში ძალადობის საკითხზე მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება და ჩვენების მოწყობა</p>			<p>მაჩვენებელი;</p> <p>საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი მაჩვენებელი და გავრცელების არეალი.</p> <p>ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული ნორმატიული აქტების შემუშავებული კრებული;</p> <p>მომზადებული ფილმი, ჩვენების რაოდენობა;</p>
--	--	---	--	--	---

		3.2.5. საუწყებთაშორისო საბჭოს ვებგვერდის შექმნა და განვითარება.		2013 წ.	საუწყებთაშორისო საბჭოს ვებგვერდი.
		3.2.6. საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებთან, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირთა კომპაქტურ დასახლებებსა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში.	საუწყებთაშორისო საბჭო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, სახელმწიფო ფონდი, საქართველოს სახალხო დამცველი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით).	2013-2015 წწ.	განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა.